

# საქართველო

## ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის

### საკრებულო

დადგენილება № 3

27 იანვარი 2010 წ.

ქ. ნინოწმინდა

*„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,,*

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ,, საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ,, ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ,, საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ,, საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### და ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი **3086,5 ათ. ლარის** ოდენობით, გარდამავალი ნაშთით- 72,0 ათ. ლარი;
2. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დანართი №1 თანახმად;
3. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის მიმდინარე გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დანართი №2 თანახმად;
4. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები დანართი №3 თანახმად;
5. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია დანართი №4 თანახმად;
6. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ბალანსი დანართი №5 თანახმად.
7. დადგენილება ძალაში შევიდეს „ნორმატიული აქტების შესახებ,, საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ვლადიმირ სტამბოლციანი